ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7196599

ნომერი: AR11050535

თარიღი : 30.07.2024

გაცემის თარიღი : 27.08.2024

გაცნობის თარიღი : 10.09.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ი. აბაშიძე , N 38 , (ყოფ. ბარნოვის N140);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა ნარჩემაშვილი პ/ნ 01025001254
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 75ა ბ. 48

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 20 კუბ.მ-მდე მოცულობის 10 მ-მდე სიმაღლის და 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი _
- ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : საპროექტო სამუშაოები წარმოადგინეთ მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, რომ არ გასცდეს წითელ ხაზებს, დაიტანეთ ზუსტი კონტური.
ხოლო თუ ეწყობა საზიარო საყრდენი კედელი, განცხადებაზე (ველში „განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე“) მონიშნეთ შესაბამისი მიწის ნაკვეთიც და წარმოადგინეთ შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. განმარტეთ ინფორმაცია აღნიშნულზე.

- წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შესაბამისად უფლებამოსილი პირის / ორგანოს თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

- ასევე, კონსტრუქციულ ნაწილში სამუშაოები ცდება საკადასტრო საზღვრებს. წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრის ნოტარიული თანხმობა აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ თქვენი საკითხი განსახილველად გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში (წერილის ნომ.: 60-01242401296), ვინაიდან ამ დროისთვის საკითხი შესწავლის პროცესშია, შესაბამისად პასუხი გეცნობებათ დამატებით, ხოლო აღნიშნული დოკუმენტი გადმოგეგზავნებათ დანართის სახით.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.